სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N02-6
CPV72400000 - ინტერნეტმომსახურებები
CPV72417000 - ინტერნეტდომენური სახელები

ქ. თბილისი **26 დეკემბერი 2019 წელი**

ერთი მხრივ **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის **დიმიტრი ბერიძის** სახით და მეორე მხრივ **ა(ა)იპ საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია გრენა** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **რამაზ ქვათაძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ხელშეკრულების დანართ N1-ში მითითებული ინტერნეტდომენური სახელების შესყიდვა.
1.2 დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1 230.00** (ერთი ათას ორას ოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.2 დომენური სახელების ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს უფლებრივად უნაკლო მომსახურება.
4.3 მომსახურების გაწევის პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპიუტერული სისტემების, ქსელებისა და კომუნიკაციის სამსახურის სისტემური ადმინისტრატორი **გიორგი მეზურნიშვილი** ან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპიუტერული სისტემების, ქსელებისა და კომუნიკაციის სამსახურის უმცროსი სისტემური ადმინისტრატორი **გიორგი იმერლიშვილი** ან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2018 წლის 3 აპრილის N1.1/151 ბრძანებით განსაზღვრული ერთ-ერთი პირი.
5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.
6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევის თაობაზე მხარეთა შორის ყოველი კონკრეტული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3 დაფინანსების წყარო: 2020 წლის საკუთარი სახსრები.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

გ) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

გ) გაეცნოს და შეასრულოს GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესები და პირობები (www.registration.ge);

დ) ყოველწლიურად, დროულად მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა;

ე) მიაწოდოს მიმწოდებელს სარეგისტრაციო მონაცემების განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია (domain.grena.ge);

ვ) არ დაუშვას მისთვის სარგებლობაში გადაცემული ინტერნეტდომენური სახელით და რეგისტრირებულ ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება;

ზ) არ დაუშვას მის მიერ ვებგვერდზე (domain.grena.ge) რეგისტრაციის დროს მითითებული სახელისა და პაროლის გადაცემა მესამე პირებზე;

თ) წინამდებარე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის და არ იმოქმედოს სხვა (მესამე) პირ(ებ)ის დავალებით ან სასარგებლოდ;

ი) გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესების და პირობების შესრულება.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) გაუწიოს შემსყიდველს კონსულტაცია დომენური სახელის რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;

გ) უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მიწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

დ) უზრუნველყოს ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების გაწევა უნაკლოდ, თუკი მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გამოასწოროს ეს ნაკლი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.5 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით შედგენილი შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს გაწეული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ს/კ 205300048 მისამართი: ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის ქ. N1ა	ა(ა)იპ საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია გრენა ს/კ 204931654 მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N9 საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE28TB0600000003700507
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი	**ა(ა)იპ საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია გრენას აღმასრულებელი დირექტორი**
დიმიტრი ბერიძე _____	**რამაზ ქვათაძე** _____

დანართი N1

N	დომენი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დომენის ღირებულება (ლარი)
1	Skolebi.edu.ge	05.01.2020	06.01.2021	12.00
2	kargiskola.ge	21.01.2020	20.01.2021	30.00
3	skoool.ge	01.02.2020	02.02.2021	30.00
4	el.ge	04.02.2020	05.02.2021	900.00
5	Catalog.edu.ge	25.03.2020	26.03.2021	12.00
6	markup.ge	30.03.2020	31.03.2021	30.00
7	emis.ge	02.05.2020	02.05.2021	30.00
8	vet.ge	07.05.2020	07.05.2021	30.00
9	Kuc.edu.ge	23.06.2020	23.06.2021	12.00
10	Kut.edu.ge	23.06.2020	23.06.2021	12.00
11	kiu.edu.ge	08.08.2020	09.08.2021	12.00
12	Chveniskola2020.ge	19.09.2020	19.09.2021	30.00
13	Studyingeorgia.ge	26.10.2020	26.10.2021	30.00
14	Onlineschool.ge	03.11.2020	03.11.2021	30.00
15	Horizon2020.ge	21.12.2020	22.12.2021	30.00
			სულ ჯამი:	**1 230.00**

ქ. თბილისი

შეთანხმებულია და ვადასტურებთ ხელის მოწერით, რომ **ა(ა)იპ საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია გრენას** (ს/კ 204931654) მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი _____ /**დიმიტრი ბერიძე**/

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე _____ /**დავით ტატიშვილი**/

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი _____ /**თამარ კუბიაშვილი**/

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის მოადგილე _____ /**ნიკოლოზ ლომსაძე**/

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი _____ /**პლატონ ფეიქრიშვილი**/

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპიუტერული სისტემების, ქსელებისა და კომუნიკაციის სამსახურის სისტემური ადმინისტრატორი _____ /**გიორგი მეზურნიშვილი**/

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კომპიუტერული სისტემების, ქსელებისა და კომუნიკაციის სამსახურის უმცროსი სისტემური ადმინისტრატორი _____ /**გიორგი იმერლიშვილი**/

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი _____ /**ნაზიკო აფციაური**/

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი _____ /**გიორგი მეტრეველი**/